



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000028346248016

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 41

20 / ივნისი / 2016 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №39 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ან სხვა დანიშნულების ბოძები - სამი მეტრის სიმაღლემდე, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრი სიახლოვისა;“

2. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



გელა ჯუგაშვილი